

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სათნო"

6720მ³ ტევადობის 360 000 მ³ წლიური ტვირთბრუნვით
ნავთობბაზის ექსპლოატაციის პირობების შეცვლასთან
დაკავშირებით

(ქ. ფოთი, ლარნაკას ქუჩა #21, ს/კ 04.01.03.736)

სკრინინგის ანგარიში

ქ. თბილისი, 2022 წელი

სარჩევი

შესავალი	2
1. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.....	4
1.1 საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა	4
1.2 საკანონმდებლო საფუძველი.....	7
2. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა	9
3. წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები	Error! Bookmark not defined.
4 საკანალიზაციო წყლების მართვა	13
5 სანიაღვრე წყლები	14
6. ნარჩენების წარმოქმნა და მისი განკარგვა	16
7. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში	17
7.1 ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე	17
7.2 ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება	18
7.3 ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე	19
7.4 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე	20
7.5 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	21
7.6 სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე	21
7.7. ზემოქმედება ჭარბტენიან ტერიტორიებზე	22
7.8 ტრანსსასაზღვო ზემოქმედება	23
7.9 მისასვლელი გზები	23
7.10 ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება	Error! Bookmark not defined.
7.11 ზემოქმედება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე	Error! Bookmark not defined.
7.12 კუმულაციური ზემოქმედება	Error! Bookmark not defined.
7.13 ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე	25
7.14 შესაძლო ავარიული სიტუაციები	26
8. დანართები	39
დანართი 1. ტერიტორიის გენ-გეგმა	39
დანართი 2. გაწმენდილი წყლების სანიაღვრე არხში ჩაშვების თანხმობა	40
დანართი 3. ამონაწერი საწარმოო რეესტრიდან	41
დანართი 4. საკადასტრო ნახაზი	42
დანართი 5. ნავთობდამჭერის საპასპორო მონაცემები ქართულ ენაზე.....	43

დანართი 6. ნავთობდამჭერის საპასპორო მონაცემები რუსულ ენაზე.....	47
დანართი 7. მავნე ნივთიერებების მიწისპირა კონცენტრაციების ანგარიში.....	54

შესავალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სათნო“-ს, ქ. ფოთი, ლარნაკას ქუჩა #21, , მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 04.01.03.736, გააჩნია 6720მ³ ტევადობის 360 000 მ³ წლიური ტვირთბრუნვით ნავთობბაზა.

ნავთობბაზაში არსებობს სარკინიგზო ჩიხი, რომელიც განკუთვნილია 5 ც ვაგონცისტერნის მისაღებად, საიდანაც ერთდროულად მიმღები 220მმ კოლექტორისა და 100 მ³/სთ წარმადობის ტუმბოს მეშვეობით ხდება ნავთობპროდუქტების მიღება, როგორც ბენზინის ისე დიზელის. ნავთობპროდუქტების ჩატვირთვა და შენახვა ხდება 2ც - 70კბ.მ (ბენზინი) მოცულობის ჰორიზონტალურ რეზერვუარში, ასევე 2ც-450კბ.მ (ერთი ბენზინი, მეორე - დიზელი) ერთ ცალ - 1340 კბ.მ (დიზელი) და ორი ცალ 2170 მ³ (დიზელი) მოცულობის ვერტიკალურ რეზერვუარებში (ჯამში 6720კბ.მ, აქედან 590 ბენზინი და 6130 დიზელი). გაცემა ხდება ერთდროულად 3 ც - გამცემი წეროდან, სადაც დამონტაჟებულია 3 ც - 45 კბ.მ წარმადობის ტუმბო.

ნავთობპროდუქტების წლიური ბრუნვა დაგეგმილია 360 000 მ³-ის ოდენობით, მათს შორის, 270000 მ³ დიზელის საწვავი და 90000 მ³ ბენზინი.

საწარმოს განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X=226885.00; Y=44672906.00:

უახლოესი დასახლებული პუნქტი საწარმოო ტერიტორიიდან დაშორებულია 380 მეტრი მანძილით.

აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს მის საკუთრებას და წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, რომლის მთლიანი ფართობია 23373 მ² (იხ. დანართი. საჯარო რეესტრის ამონაწერი).

პროექტის მიხედვით (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად) საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილი იყო ატმოსფერული ნალექებისაგან წარმოქმნილი წყლების გამატარებელი არხებით, რომლებიც მიერთებულია ნავთობდამჭერ სისტემასთან, სადაც ხორციელდება წყლის გაწმენდა ნავთობპროდუქტებისაგან და მისი ჩაშვება სანიაღვრე არხში.

საწარმოო სანიაღვრე ჩამდინარე წყლები დაბინძურებულია მხოლოდ ნავთობპროდუქტებითა და შეწონილი ნაწილაკებით, ამიტომ გათვალისწინებულია ამ წყლების გაწმენდა საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილი იყო ერთი ცალი ჰორიზონტალურ ქვიშა ხრეშოვანი ფილტრის მქონე ნავთობდამჭერში, რომლის წარმადობა შეადგენს 18 მ³/სთ, ხოლო სალექარის გავლის შემდეგ ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება სანიაღვრე არხში.

საწარმოში ზემოთ აღნიშნული ნავთობდამჭერის გარდა მოხდა მეორე ნავთობდამჭერის დამონტაჟება, კერძოდ:

#1 ნავთობდამჭერი ემსახურება #1; #2; #3; #6 და #7 ნავთობის რეზერვუარების სარეზერვუაო პარკს, რომლის ფართობია 2469 მ².

#2 ნავთობდამჭერი ემსახურება #4 და #5 რეზერვუარების სარეზერვუარო პარკს, რომლის ფართობია 2320.6 მ².

#2-ე გამწმენდი ნაგებობის დანიშნულებაა მოახდინოს როგორც ატმოსფერული ნალექების ასევე #4 და #5 ნავთობის რეზერვუარებიდან წარმოქმნილი წყლების გაწმენდა, კერძოდ შეწონილი ნაწილაკებისა და ნავთობპროდუქტებისაგან .აღნიშნული გამწმენდი ნაგებობა ახდენს წამში 3 ლიტრი შეწონილი ნაწილაკებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლების გაწმენდას.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული ცვლილება წარმოადგენს ექსპლოატაციის პირობების შეცვლას, ამიტომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა) და შესაბამისად წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში #1.

ცხრილი 1

ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

№	მონაცემთა დასახელება	დოკუმენტის შედგენის მომენტისათვის
1.	ობიექტის დასახელება	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სათნო“
2.	ობიექტის მისამართი: ფაქტიური: იურიდიული:	ქ. ფოთი, ლარნაკას ქუჩა #21, ს/კ 04.01.03.736 საქართველო, ქ. ფოთი, ლარნაკას ქ., №21
3.	საიდენტიფიკაციო კოდი	215110252
4.	GPS კორდინატები	X=226885.00; Y=44672906.00
5.	ობიექტის ხელმძღვანელი: გვარი, სახელი ტელეფონები: ელ. ფოსტა:	თენგიზ სარიშვილი ტელ: 595 15-55-55 info@Satno.com
6.	მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე:	დასახლებული პუნქტი 380 მ.
7.	ეკონომიკური საქმიანობა:	ნავთობპროდუქტების მიღება-რეალიზაცია
8.	გამოშვებული პროდუქციის სახეობა	ბენზინი და დიზელის საწვავი
9.	საპროექტო წარმადობა:	360 000 მ ³ /წელ ნავთობპროდუქტები
10.	მოხმარებული ნედლეულის სახეობები და რაოდენობები:	დიზელის საწვავი –270000 მ ³ /წელ; ბენზინი 90000 მ ³ /წელ.
11.	მოხმარებული საწვავის სახეობები და რაოდენობები:	-

12	სამუშაო საათების რაოდენობა წელიწადში	8760 საათი
13	სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	24 საათი

1. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

1.1 საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სათნო“-ს 6720მ³ ტევადობის 360 000 მ³ წლიური ტვირთბრუნვით ნავთობბაზა მდებარეობს ქ. ფოთი, ლარნაკას ქუჩა #21, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 04.01.03.736.

აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს შპს „სათნო“-ს საკუთრება და წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, რომლის მთლიანი ფართობია 23373 მ², სადაც განთავსებულია სარეზერვუარო პარკები, ასევე ყველა ის ინფრასტრუქტურა, რომელიც საჭიროა აღნიშნული ნავთობბაზის ფუნქციონირებისათვის (იხ. საჯარო რეესტრის ამონაწერი).

ნავთობბაზის ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან მდებარეობს 380 მეტრში.

ნავთობბაზის განთავსების ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან 10 მეტრში ესაზღვრება სსიპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 04.01.03.218) რომელზედაც მდებარეობს ტბა.

ასევე ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 04.01.03.561) და მის შემდეგ სსიპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 04.01.03.550), რომელიც წარმოადგენს თავისუფალ ტერიტორიას.

ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება შპს "ტრანსფორდი"-ს საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 04.01.03.609), სადაც განთავსებულია კონტეინერების სასაწყობე ტერმინალი.

დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება შპს "სათნოს"-ს საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 04.01.03.560), რომლის შემდეგ მდებარეობს ფიზიკური პირი - აღმისტერი ნემსაძეს (პ/ნ 42001001525) საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 04.01.03.688).

სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება შპს "ქეისიბი ალიანსი"-ს საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 04.01.03.237).

აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება შპს "ექსპრეს ტრანს შიპმენტ სერვისეზ"-ის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 04.01.03.239).

სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება ფიზიკური პირი - გიორგი გუდავაძეს (პ/ნ 42001005174) საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ

04.01.03.240) და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 04.01.03.801).

საწარმოს ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით 200 მეტრში გაედინება მდინარე რიონის სამხრეთი ნაკადი.

საწარმოს ტერიტორიის დასავლეთით 150 მეტრში გადის ასფალტირებული საავტომობილო გზა, საიდანაც ის 150 მეტრი ასფალტირებული გზით უკავშირდება ნავთობბაზის ტერიტორიას.

ნავთობბაზის განთავსების ტერიტორიიდან აღმოსავლეთის 4300 მეტრში მდებარეობს კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორია.

ტერიტორიის სიტუაციური სქემა დაცილების მანძილების დატანით მოცემულია სურათზე 1.1.3.

საწარმოს ტერიტორიის კუთხეთა წვეროების კოორდინატები მოცემულია ცხრილ 1.1.1-ში.

ცხრილი 1.1.1.

#	X	Y
1	2	3
1	226264.24	4672800.81
2	226432.69	4672880.56
3	226355.41	4672919.60
4	226355.33	4672946.14
5	226258.54	4673008.28
6	226241.93	4673003.40
7	226254.50	4672967.09
8	226194.71	4672947.74
9	226213.06	4672894.62
10	226207.06	4672877.16
11	226241.89	4672865.42

1.2. საკანონმდებლო საფუძველი

სკრინინგის ანგარიში მომზადებულია საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს შესაბამისად.

საწარმოში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, საწარმოო ტერიტორიაზე გათვალისწინებული იყო ერთი ნავთობდამჭერი დანადგარის მოწყობა, რომელიც მოემსახურებოდა სარეზერვუარო პარკებს.

ზემოთ აღნიშნული ნავთობდამჭერის გარდა მოხდა მეორე ნავთობდამჭერის დამონტაჟება, კერძოდ:

#1 ნავთობდამჭერი ემსახურება #1; #2; #3; #6 და #7 ნავთობის რეზერვუარების სარეზერვუარო პარკს, რომლის ფართობია 2469 მ².

#2 ნავთობდამჭერი ემსახურება #4 და #5 რეზერვუარების სარეზერვუარო პარკს, რომლის ფართობია 2320.6 მ².

ვინაიდან, ზემოაღნიშნული ცვლილება წარმოადგენს ექსპლუატაციის პირობების შეცვლას, ამიტომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა).

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა მოიცავდეს:

- მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს ამ განცხადების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას. საზოგადოებას უფლება აქვს, სკრინინგის განცხადების ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე განთავსებიდან 7 დღის ვადაში, ამ კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით წარუდგინოს სამინისტროს მოსაზრებები და შენიშვნები ამ განცხადებასთან დაკავშირებით. სამინისტრო იხილავს საზოგადოების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს, ხოლო შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში იღებს მათ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა სამინისტრო შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზმ-ს:

- საქმიანობის მახასიათებლები;
- საქმიანობის მასშტაბი;

- არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;
- ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;
- ნარჩენების წარმოქმნა;
- გარემოს დაბინძურება და ხმაური;
- საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:
- ჭარბტენიან ტერიტორიასთან;
- შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;
- ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;
- დაცულ ტერიტორიებთან;
- მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან;
- საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:
- ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
- ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

თუ სამინისტრო სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს არ ექვემდებარება, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები.

- სკრინინგის პროცედურის დასრულებიდან 5 დღის ვადაში სამინისტრო უზრუნველყოფს დასაბუთებული სკრინინგის გადაწყვეტილების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას.

2. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “სათნო”-ს 6720 მ³ ტევადობის 360 000 მ³. წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის ტერიტორიაზე შემდეგი ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული და საწარმოო უბნებია მოწყობილი:

1. სარეზერვუარო პარკი;
2. ნავთობპროდუქტების ჩამოსასხმელი მილსადენები;
3. ნავთობპროდუქტების სატუმბი სადგურები;
4. გამწმენდი ნაგებობა (ნავთობშემცველი სანიაღვრე წყლების);
5. ნავთობპროდუქტების გამცემი სადგურები;
6. რკინიგზის ჩიხი;
7. ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების ობიექტები;
8. ავტოგზა.

თითოეული უბნის ფუნქციონირების განხილვა განსაზღვრავს საწარმოო ობიექტის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ტექნოლოგიური ციკლის კონკრეტულობებს.

ნავთობბაზის მოედნის დახასიათება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “სათნო”-ს 6720 მ³ ტევადობის (360000 მ³. წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის, რომელიც მდებარეობს მისამართზე – ქ. ფოთი, ლარნაკას ქუჩა #21, ს/კ 04.01.03.736. გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტების მიღება შენახვისათვის და გაცემა რეალიზაციისათვის.

ნავთობბაზის ტერიტორიაზე არსებობს ავტომანქანების შესასვლელი გზა. რკინიგზის ჩიხი ბაზის ტერიტორიაზე მდებარეობს და ძირითადი სარეზერვუარო პარკიდან დაშორებულია 20 მეტრით.

საწარმოს ტერიტორიაზე დამატებითად მოეწყობა შიგა სანიაღვრე კანალიზაციის სისტემა, რომელშიც სარეზერვუარო პარკიდან და მიღება-გაცემის ადგილებიდან წარმოქმნილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლები მოხვდება ნავთობდამჭერში და შემდეგ სანიაღვრე არხში.

გასასვლელი გზების ზომები და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მოთხოვნები დაცული იქნება საამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისი მოქმედი ნორმატივების გათვალისწინებით;

ფუნქციონირების ტექნოლოგიური სქემა.

ნავთობის ბაზაში არსებობს სარკინიგზო ჩიხი, რომელიც განკუთვნილია 5ც ვაგონცისტერნის მისაღებად, საიდანაც ერთდროულად მიმღები 220მმ კოლექტორისა და 100 მ³/სთ წარმადობის ტუმბოს მეშვეობით ხდება ნავთობპროდუქტების მიღება, როგორც ბენზინის ისე დიზელის. ნავთობპროდუქტების ჩატვირთვა და შენახვა ხდება 2ც - 70კბ.მ (ბენზინი) მოცულობის ჰორიზონტალურ რეზერვუარში, ასევე 2ც- 450კბ.მ

(ერთი ბენზინი, მეორე - დიზელი) ერთ ცალ - 1340 კბ.მ (დიზელი) და 2 ცალ 2170 მ³ (დიზელი) მოცულობის ვერტიკალურ რეზერვუარებში (ჯამში 6130 კბ.მ, აქედან 590 ბენზინი და 5750 დიზელი). გაცემა ხდება ერთდროულად 3 ც - გამცემი წეროდან, სადაც დამონტაჟებულია 3 ც - 45 კბ.მ წარმადობის ტუმბო

ნავთობპროდუქტების წლიური ბრუნვა დაგეგმილია 360 000 მ³-ის ოდენობით, მათს შორის, 270000 მ³ დიზელის საწვავი და 90000 მ³ ბენზინი.

ნავთობპროდუქტების სარეზერვუარო პარკი მიწისზედა განლაგებისაა და შედგება არსებული 2 ცალი მიწისზედა ჰორიზონტალური ცილინდრული რეზერვუარისაგან, რომელთა ჯამური მოცულობა შეადგენს 140 მ³-ს, 2 ცალი არსებული მიწისზედა ვერტიკალური ცილინდრული რეზერვუარისაგან, რომელთა ჯამური მოცულობა შეადგენს 900 მ³-ს 1 ცალი 1340 მოცულობის და 2 ცალი 2170 მ³ მიწისზედა ვერტიკალური რეზერვუარებისაგან (ისინი დადგმულია რკინაბეტონის საძირკვლებზე, მომანდაკებული ზედაპირიდან 50 სმ-ის სიმაღლეზე). ყველა რეზერვუარი აღჭურვილია სასუნთქი კლაპანებით. აღნიშნულ პარკში განლაგებულია შემდეგი რეზერვუარები:

დიზელის საწვავისათვის:

1. #1 - 1340 მ³ ტევადობის;
2. #2 - 450 მ³ ტევადობის;
3. #3 - 2170 მ³ ტევადობის;
4. #4 - 2170 მ³ ტევადობის;

ბენზინის:

5. #5 - 450 მ³ ტევადობის;
6. #6 - 70 მ³ ტევადობის;
7. #7 - 70 მ³ ტევადობის;

რეზერვუარების დაცვის მიზნით, წნევის არანორმირებული მომატებისას, გამოყენებულია ზამბარიანი სარქველები და ჩამკეტ-დამცავი მოწყობილობები.

დამცავდამდგენი სარქველი წარმოადგენს მოწყობილობას, რომელიც უზრუნველყოფს რეზერვუარის ექსპლუატაციის უსაფრთხოებას აირის მომატებული წნევის პირობებში, მაშინ როდესაც წნევის მომატებამ შესაძლებელია გამოიწვიოს რეზერვუარის დაზიანება.

სისტემაში დასაშვებ მუშა წნევაზე გადაჭარბებისას დამცავი სარქველი ავტომატურად იღება და აფრქვევს აირის საჭირო რაოდენობას, რითაც ხდება ავარიის შესაძლებლობის თავიდან აცილება.

გაფრქვევის პერიოდის დამთავრებისთანავე და წნევის განსაზღვრულ მნიშვნელობამდე შემცირებისას დამცავი სარქველი ავტომატურად ჩაიკეტება და დარჩება ჩაკეტილ მდგომარეობაში, ვიდრე ტექნოლოგიურ პროცესის რეჟიმის დარღვევა სისტემაში თავიდან არ გამოიწვევს მისი გახსნის აუცილებლობას.

ამგვარად გამფრქვევი ზამბარიანი სარქველების აღჭურვა საწვავის რეზერვუარებში შესაძლებელია ბევრი მიზეზით, მათ შორის:

- რეზერვუარების მზის რადიაციით გათბობა (მიწისზედა რეზერვუარი) ან ღია ცეცხლით ხანძრის შემთხვევაში და ა.შ.
- საწვავის მოცულობის გაზრდა გადავსებულ რეზერვუარში სითხის ტემპერატურის ზრდის პირობებში, აირადი ფაზის არ არსებობისას ან მისი დანაკლისისას;
- რეზერვუარის შევსება საწვავის ისეთი კომპონენტებით, რომელთაც გააჩნიათ ორთქლის უფრო მაღალი დრეკადობა, ვიდრე რომელზეცაა გათვლილი რეზერვუარი;
- გადავსებულ რეზერვუარში საწვავის ტუმბოთი მოწოდება და ა.შ. დამცავი გამფრქვევი სარქველები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:
- სარქველი უნდა იხსნებოდეს სისტემაში დადგენილი ზღვრული მნიშვნელობის წნევის მიღწევისას;
- ღია მდგომარეობაში სარქველი უნდა უზრუნველყოფდეს თხევადი ან აირადი გაზის იმ რაოდენობით გატარებას, რომ წნევის სისტემაში მომატება აღარ იყოს შესაძლებელი;
- სისტემაში წნევის შემცირებისას რეგლამენტირებულზე ქვევით სარქველი უნდა იკეტებოს;
- სარქველის გახსნა ჩაკეტვის შემდეგ უნდა უზრუნველყოფდეს სისტემის მთლიანი ჰერმეტიკულობის შენარჩუნებას.

სარქველების შემოწმება უნდა წარმოებდეს პერიოდულად, ტექნოლოგიური რეგლამენტის შესაბამისად, მაგრამ არაუმცირეს 6 თვეში ერთხელ. დამცავი სარქველები უნდა იხსნებოდნენ მუშა წნევის 15%-ით გადაჭარბებისას.

გამომდინარე აქედან საწარმოში ტექნოლოგიური პროცესის წარმართვა უზრუნველყოფს უავარიო მუშაობას და პერსონალისა და მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სრულ უსაფრთხოებას.

ამასთან ერთად საწარმოში მკაცრი კონტროლია დამყარდება ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულების დროს.

გენ-გეგმის დაგეგმარებით უზრუნველყოფილია სახანძრო მანქანების მიდგომა პარკის ყველა მხრიდან და ხანძარსაწინააღმდეგო წყლის აუზთან მყარი საფარიანი გზებით. სარეზერვუარო პარკში გაყვანილი წყალსადენზე დაყენებულია ჰიდრანტები.

სარეზერვუარო პარკის გარშემო გათვალისწინებულია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდები თავისი კომპლექტით:

1. ცეცხლსაქრობი – 2 ცალი;
2. ყუთი ქვიშით – 2 ცალი;
3. სახანძრო ვედრო – 2 ცალი;
4. წერაქვი – 1 ცალი;
5. ნიჩაბი – 1 ცალი;
6. ნაჯახი – 1 ცალი;
7. სახანძრო ბარჯი – 1 ცალი.

ასევე ნავთობაზის ტერიტორიაზე განთავსებულია 100 მ³ მოცულობის წყლის რეზერვუარი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებისათვის, 8 მ³ მოცულობის ქაფის რეზერვუარი.

მოსამსახურე პერსონალის უსაფრთხო პირობების შექმნისათვის გათვალისწინებული იქნება გადასასვლელი ბაჟნები მოაჯირებით და ასასვლელი კიბეებით. ყველა რეზერვუარი აღჭურვილი იქნება საჭირო საექსპლუატაციო მოწყობილობებით. ესტაკადა და ყველა რეზერვუარი უზრუნველყოფილია დამიწების მოწყობილობებით და მეხამრიდებით. ყველა რეზერვუარი აღჭურვილია საჭირო საექსპლუატაციო მოწყობილობებით;

- ჩასასვლელი ლუქი, 1 ცალი, დიამეტრით 70 სმ.

- საზომი ლუქი, მილი დიამეტრით 150 მმ და სიმაღლით 40 სმ. აქედან ხორციელდება საჭიროებისამებრ რეზერვუარიდან სინჯის აღება;

- ტექნოლოგიური მილსადენები განთავსებულია მიწის ზედაპირზე, ბეტონის საბჯენებზე, რომელთა სიმაღლე 15 სანტიმეტრია, ხოლო მათს შორის მანძილი შეადგენს 6 მეტრს.

- სატუმბო სადგური, რკინიგზის ვაგონების დასაცლელად გათვალისწინებულია ფარდულის ტიპის, რომელშიც დამონტაჟებულია ტუმბო ტუმბოს წარმადობა ტოლია 100 მ³/სთ.

- ავტოციტერნებში გასაცემი კუნძული მოწყობილია ნავთობაზის ტერიტორიაზე, სადაც არის მექანიკური დგარები ნავთობპროდუქტების გასაცემად. თითოეულ კუნძულზე მოწყობილია გასაცემი ტუმბოები (3 ცალი), რომელთა თითოეულის წარმადობა გაცემისას ტოლია 45 მ³/სთ-ში. ისინი მიერთებულნი არიან სატუმბოში მიმავალ მილსადენებს, ავტოსავალ ნაწილებში მიწისქვეშა შესრულებით. აღრიცხვიანობა ხორციელდება მექანიკურ დგართან მოწყობილი მრიცხველით.

სარეზერვუარო პარკში არსებული რეზერვუარები და დადგმულია და დამონტაჟებულია 30 სმ სისქის, სამმაგი არმირების ბეტონის საძირკველზე, სადაც გათვალისწინებულია სავარაუდოდ პროდუქტის გაჟონვის დრენაჟი, რომელიც მიმართულია სარეზერვუარო პარკში. სარეზერვუარო პარკის მთლიანი ტერიტორია, შემოზინვის შიგნით, დაბეტონებულია ორმაგი არმირების საფარით. სარეზერვუარო პარკიდან წვიმის წყალი გამოედინება შემოზინვის კედელში, ქვედა ნიშნულზე დამონტაჟებული გამწვები ურდულიდან, რომელიც ჩართულია შემკრებ არხში და მიედინება გამწმენდში, შემდეგ სანიაღვრე არხში.

რკინიგზის ესტაკადის ტერიტორიაზე, მიმღები კოლექტორის ქვეშ გათვალისწინებულია 40სმ სიგანისა და 50 სმ სიღრმის ბეტონის შემკრები არხი. ტერიტორია ისეა მოწყობილი, რომ წვიმის წყალი ჩაედინება აღნიშნულ არხში, რომელიც დაკავშირებულია სატუმბო სადგურთან არსებულ შემკრებ ჭასთან, საიდანაც მილსადენით მიედინება გამწმენდ მოწყობილობაში. პროდუქტის დაღვრის შემთხვევაში, იკეტება შემკრებ ჭაში არსებული ჩამკეტი ურდული და ჩაძირული ტუმბოს საშუალებით ხდება პროდუქტის გადატვირთვა არსებულ 70 ტ რეზერვუარში.

რეზერვუარები, მილსადენები და სხვა მოწყობილობები იღებება კოროზიის საწინააღმდეგო საღებავებით. სარეზერვუარო პარკი შემოსაზღვრულია 50 სმ სიმაღლის

შემადლებით, რეზერვუარების დაზიანების შემთხვევაში ნავთობპროდუქტების ლოკალიზაციის მიზნით.

საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია ატმოსფერული ნალექებისაგან წარმოქმნილი წყლების გამატარებელი არხები, რომლებიც მიერთებულია ნავთობდამჭერ სისტემასთან, სადაც ხორციელდება წყლის გაწმენდა ნავთობპროდუქტებისაგან და მისი ჩაშვება შემდგომ სანიაღვრე არხში.

ნავთობბაზის დაცვა ხორციელდება სადღეღამისო მორიგეობით და საკონტროლო გამშვები სისტემით.

საწარმოში ნავთობპროდუქტების მიღებისას არ ხდება მათი გაცემა ავტოციისტერნებში.

პროექტის მიხედვით (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად) საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილი იყო ატმოსფერული ნალექებისაგან წარმოქმნილი წყლების გამატარებელი არხებით, რომლებიც მიერთებულია ნავთობდამჭერ სისტემასთან, სადაც ხორციელდება წყლის გაწმენდა ნავთობპროდუქტებისაგან და მისი ჩაშვება სანიაღვრე არხში.

საწარმოო სანიაღვრე ჩამდინარე წყლები დაბინძურებულია მხოლოდ ნავთობპროდუქტებითა და შეწონილი ნაწილაკებით, ამიტომ გათვალისწინებულია ამ წყლების გაწმენდა საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილი იყო ერთი ცალი ჰორიზონტალურ ქვიშა ხრეშოვანი ფილტრის მქონე ნავთობდამჭერში, რომლის წარმადობა შეადგენს 18 მ³/სთ, ხოლო სალექარის გავლის შემდეგ ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება სანიაღვრე არხში.

საწარმოში ზემოთ აღნიშნული ნავთობდამჭერის გარდა მოხდა მეორე ნავთობდამჭერის დამონტაჟება, კერძოდ:

#1 ნავთობდამჭერი ემსახურება #1; #2; #3; #6 და #7 ნავთობის რეზერვუარების სარეზერვუარო პარკს, რომლის ფართობია 2469 მ².

#2 ნავთობდამჭერი ემსახურება #4 და #5 რეზერვუარების სარეზერვუარო პარკს, რომლის ფართობია 2320.6 მ².

#2-ე გამწმენდი ნაგებობის დანიშნულებაა მოახდინოს როგორც ატმოსფერული ნალექების ასევე #4 და #5 ნავთობის რეზერვუარებიდან წარმოქმნილი წყლების გაწმენდა, კერძოდ შეწონილი ნაწილაკებისა და ნავთობპროდუქტებისაგან აღნიშნული გამწმენდი ნაგებობა ახდენს წამში 3 ლიტრი შეწონილი ნაწილაკებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლების გაწმენდას.

3. წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები

წყალი საწარმოში გამოიყენება სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის და სახანძრო მიზნებისათვის.

სასმელი-საყოფაცხოვრებო და სახანძრო მიზნებისათვის წყლის მომარაგება ხორციელდება ქ. ფოთის წყალმომარაგების სისტემიდან.

სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის წყალი გამოიყენება სანიტარულ კვანძებში მოსამსახურეთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის

წყლის ხარჯი გაანგარიშებულია "კომუნალური წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემებით სარგებლობის წესების" მიხედვით (დამტკიცებულია საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 21.10.1998 წ., №81 ბრძანებით).

სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის წყლის რაოდენობას ვანგარიშობთ შემდეგი ფორმულით:

$$Q = (A \times N) \text{ მ}^3/\text{დღ-ში};$$

სადაც:

Q - დღეღამეში სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის საჭირო წყლის ხარჯი;

A – მუშაკთა საერთო რაოდენობა დღეღამის განმავლობაში, ჩვენ შემთხვევაში A = 5 მუშაკი;

ხოლო N- წყლის ნორმა სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის ერთ მუშაკზე დღის განმავლობაში, ჩვენ შემთხვევაში N = 0.045 მ³/დღ.;

აქედან გამომდინარე, დღე-ღამეში სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის საჭირო წყლის ხარჯი იქნება:

$$Q = (5 \times 0.045) = 0.225 \text{ მ}^3/\text{დღ-ში}, \text{ ხოლო წლიური რაოდენობა იქნება } 0.225 \times 365 = 82.125 \text{ მ}^3/\text{წელ-ში}$$

4. საკანალიზაციო წყლების მართვა

როგორც ზემოთ დადგინდა გაანგარიშებით, სასმელი წყლის ხარჯი სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის შეადგენს:

$$Q = 0.225 \text{ მ}^3/\text{დღ-ში}.$$

სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ხარჯს ვიღებთ მოხმარებული წყლის 90%-ს, შესაბამისად ჩამდინარე წყლების დღეღამური ხარჯი შეადგენს:

$$q = 0.225 \times 0.9 = 0.2025 \text{ მ}^3/\text{დღ-ში}, \text{ ანუ } 0.2025 \times 365 = 73.9125 \text{ მ}^3/\text{წელ}.$$

აღნიშნული წყლების ჩაედინება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ბეტონის ამოსაწმენდ ორმოში.

რეზერვუარების რეცხვისას წარმოქმნილი წყლის ხარჯი:

რეზერვუარების რეცხვისას საჭირო წყლის ხარჯი ერთ რეზერვუარზე საშუალოდ 10 მ³-ია (წყლის მიმყვანი მილის ხარჯიდან გამომდინარე). რეზერვუარების რაოდენობა 7 ერთეული, რეცხვის ჯერადობა წელიწადში საშუალოდ 6-ია, რეცხვის ხანგრძლიობა 72 სთ. შესაბამისად წყლის ხარჯი იქნება

$$q = 10 \times 7 \times 6 = 420 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

საათური ხარჯი იქნება:

$$q = 420 : 72 = 5,833 \text{ მ}^3/\text{სთ}.$$

ზემოთ აღნიშნული წყლები შიგა სანიაღვრე კანალიზაციის მეშვეობით მოხვდება ნავთობდამჭერში.

5. სანიაღვრე წყლები

სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ხარჯი იანგარიშება ფორმულით:

$$q = 10 \times F \times H \times K$$

სადაც:

q – სანიაღვრე წყლების ხარჯია დროის გარკვეულ პერიოდში მ³,

F - ტერიტორიის ფართობი ჰა, ჩვენ შემთხვევაში, საწარმოო სარეზერვუარო პარკის ორი ტერიტორია, რომელთაც ემსახურება დაბინძურებული წყლების გაწმენდისათვის ორი ცალი ნავთობდამჭერი, კეძო:

#1 ნავთობდამჭერი ემსახურება #1; #2; #3; #6 და #7 ნავთობის რეზერვუარების სარეზერვუარო პარკს, რომლის ფართობია 2469 მ².

#2 ნავთობდამჭერი ემსახურება #4 და #5 რეზერვუარების სარეზერვუარო პარკს, რომლის ფართობია 2320.6 მ².

H – ნალექების რაოდენობა დროის გარკვეულ პერიოდში, მმ. „სამშენებლო კლიმატოლოგია“-ს მიხედვით საწარმოს განლაგების ტერიტორიისათვის ნალექების წლიური რაოდენობა შეადგენს 1865 მმ/წელ-ში, ხოლო ნალექების დღეღამური მაქსიმუმი - 223 მმ/დღ.

K – ტერიტორიის საფარის ტიპზე დამოკიდებული კოეფიციენტი (ჩვენ შემთხვევაში ვიღებთ - K= 0.6).

ფორმულის გამოყენებით მივიღებთ სანიაღვრე წყლების წლიურ ხარჯს შესაბამისად სარეზერვუარო პარკებიდან:

#1; #2; #3; #6 და #7 ნავთობის რეზერვუარების სარეზერვუარო პარკს, რომლის ფართობია 2469 მ², ანუ 0.2469 ჰა.

$$q_{\text{წელ.}} = 10 \times 0.2469 \times 1865 \times 0.6 = 2762.811 \text{ მ}^3/\text{წელ.}$$

ხოლო თუ გავითვალისწინებთ ნალექების დღე-ღამური მაქსიმალურ სიდიდეს, სანიაღვრე წყლების ხარჯის დღე-ღამური მნიშვნელობა ტოლი იქნება:

$$q_{\text{დღ.ღ.მაქს.}} = 10 \times 0.2469 \times 223 \times 0.6 = 330.352 \text{ მ}^3/\text{დღ.ღ.}$$

სანიაღვრე წყლების მაქსიმალური საათური ხარჯი იქნება:

$$q_{\text{სთ.მაქს.}} = 330.352 : 24 = 13.765 \text{ მ}^3/\text{სთ.}$$

სამშენებლო ნორმებისა და წესების (СНИП I I-106-79 გვ. 19, ცხრ. 7) მიხედვით სარეზერვუარო პარკის და საწვავცის მიღება გაცემის უბნის ფარგლებში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლებში მავნე ნივთიერებათა მოსალოდნელი კონცენტრაციები შემდეგია:

- შეწონილი ნაწილაკები – 600 მგ/ლ;
- ნავთობპროდუქტები – 150 მგ/ლ;

გამწმენდი დანადგარის ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, ზემოთ აღნიშნული სარეზერვუარო პარკიდან წარმოქმნილი სანიაღვრე ხვდება #1 გამწმენდ დანადგარში, რომელშიც წყალში შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია დასაშვებია 1541 მგ/ლიტრში,

ნავთობპროდუქტების 342 მგ/ლიტრში, ხოლო გაწმენდის შემდეგ მათი მნიშვნელობები შესაბამისად არ აღემატება: შეწონილი ნაწილაკები 2.8 მგ/ლიტრში, ნავთობპროდუქტები - 0.28 მგ/ლიტრში (იხ. დანართში გამწმენდი ნადადგარის საპასპორო მონაცემები).

აღნიშნული გამწმენდი დანადგარის წარმადობაა 5 ლ/წმ.

#1 ნავთობდამჭერიდან გამოსული წყალი გაწმენდის შემდეგ ჩაედინება საწარმოს ტერიტორიის სიახლოვეს გამავალ სანიაღვრე არხში ჩაშვების წერტილის კორდინატებში: X=721952.0; Y=4670982.0, რომელზედაც შპს „სათნო“-ს გააჩნია თანხმობის წერილი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ (იხ. დანართი 2).

#2 ნავთობდამჭერი ემსახურება #4 და #5 რეზერვუარების სარეზერვუარო პარკს, რომლის ფართობია 2320.6 მ², ანუ 0.23206

$$q_{\text{წელ.}} = 10 \times 0.23206 \times 1865 \times 0.6 = 2596.751 \text{ მ}^3/\text{წელ.}$$

ხოლო თუ გავითვალისწინებთ ნალექების დღე-ღამური მაქსიმალურ სიდიდეს, სანიაღვრე წყლების ხარჯის დღე-ღამური მნიშვნელობა ტოლი იქნება:

$$q_{\text{დღ.დ.მაქს.}} = 10 \times 0.23206 \times 223 \times 0.6 = 310.496 \text{ მ}^3/\text{დღ.დ.}$$

სანიაღვრე წყლების მაქსიმალური საათური ხარჯი იქნება:

$$q_{\text{სთ.მაქს.}} = 310.496 : 24 = 12.937 \text{ მ}^3/\text{სთ.}$$

სამშენებლო ნორმებისა და წესების (СНИП I I-106-79 გვ. 19, ცხრ. 7) მიხედვით სარეზერვუარო პარკის და საწვავის მიღება გაცემის უბნის ფარგლებში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლებში მავნე ნივთიერებათა მოსალოდნელი კონცენტრაციები შემდეგია:

- შეწონილი ნაწილაკები – 600 მგ/ლ;
- ნავთობპროდუქტები – 150 მგ/ლ;

გამწმენდი დანადგარის ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, ზემოთ აღნიშნული სარეზერვუარო პარკიდან წარმოქმნილი სანიაღვრე ხვდება #1 გამწმენდ დანადგარში, რომელშიც წყალში შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია დასაშვებია 1541 მგ/ლიტრში, ნავთობპროდუქტების 342 მგ/ლიტრში, ხოლო გაწმენდის შემდეგ მათი მნიშვნელობები შესაბამისად არ აღემატება: შეწონილი ნაწილაკები 2.8 მგ/ლიტრში, ნავთობპროდუქტები - 0.28 მგ/ლიტრში (იხ. დანართში გამწმენდი ნადადგარის საპასპორო მონაცემები).

აღნიშნული გამწმენდი დანადგარის წარმადობაა 3 ლ/წმ.

პროექტის მიხედვით, გაწმენდილი წყალი ჩაედინება საწარმოო ტერიტორიის სიახლოვეს გამავალ სანიაღვრე არხში, რომლის ჩაშვებაზე შპს „სათნო“-ს გააჩნია თანხმობის წერილი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ (იხ. დანართი 2), ჩაშვების წერტილის კორდინატებია: X=722022.0; Y=4671029.0 .

6. ნარჩენების წარმოქმნა და მისი განკარგვა

სახიფათო ნარჩენები. საწარმოში შემდეგი სახისა და რაოდენობის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, კერძოდ:

- აბსორბენტები, ფილტრის მასალა (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომლებიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით - მათი წლიური რაოდენობა არ აღემატება 150 კგ-ს;
- ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტების წარმოქმნა, რომლის წლიური რაოდენობა არ აღემატება 200 კგ;
- ნავთობი, ზეთი/წყლის სეპარატორის (გამყოფი მოწყობილობის) ნალექი ნარჩენები (ნავთობდამჭერებში დაგროვილი ნარჩენები), რომლის წლიური რაოდენობა არ აღემატება 2000 კგ;
- ნავთობდამჭერის ნალექები (ნავთშლამები), რომლის წლიური რაოდენობა არ აღემატება 2 მ³;
- ზეთიანი, ნავთობიანი წყალი ნავთობი, ზეთი/წყლის სეპარატორიდან (გამყოფი მოწყობილობიდან) (ბაკნარეცხი წყალი), რომლის წლიური რაოდენობა არ აღემატება 3 მ³;
- რეზერვუარების ძირში წარმოქმნილი ლექი, რომლის წლიური რაოდენობა არ აღემატება 2 მ³;

სახიფათო ნარჩენების განთავსება ხდება ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებულ შესაბამის ჰერმეტიკულ კონტეინერში. სახიფათო ნარჩენის გატანა ხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ.

არასახიფათო ნარჩენები. შერეული მუნიციპალური ნარჩენები, რომელთა წლიური რაოდენობა მოსალოდნელია 3.65 მ³-ის ოდენობით, რომლისათვის საწარმოს ტერიტორიაზე დადგმულია შესაბამისი კონტეინერი.

ნარჩენების გატანას და ტრანსპორტირებას ახორციელებს ადგილობრივი მინიციპალური სამსახური.

7. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში

7.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.

საწარმოდან გაფრქვეული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია: ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები და გოგირდწყალბადი. ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის საანგარიშო მეთოდების და საწარმოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

ცხრილ-7.1.1-ში მოცემულია საწარმოში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების კოდი, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობები, გაფრქვევის სიმძლავრეები და საშიშროების კლასი.

ცხრილი 7.1.1.

მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ ³		საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
1	2	3	4	5
ნაჯერი ნახშირწყალბადები C ₁ – C ₅	415	50	-	4
ნაჯერი ნახშირწყალბადები C ₆ – C ₁₀	416	30	-	4
ნაჯერი ნახშირწყალბადები C ₁₂ –C ₁₉	2754	1	-	4
ამილენი	501	1.5	1.5	4
ბენზოლი, C ₆ H ₆	602	1.5	0.05	4
ტოლუოლი, C ₇ H ₈	621	0.6	0.6	3
ეთილბენზოლი	627	0.02	0.02	3
ქსილოლი, C ₈ H ₁₀	616	0.2	0.2	3
გოგირდწყალბადი	333	0.008	-	2

- ნავთობპროდუქტების რეზერვუარები;
- ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემის სადგურები;
- საკომპრესორო-სატუმბი სადგურები;
- ნავთობდამჭერი დანადგარი;

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობის ანგარიში განხორციელდა დარგობრივი მეთოდის საფუძველზე ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის, სადაც გათვალისწინებული იქნა მეორე ნავთობდამჭერიდან გაფრქვევები.

საწარმოს მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა მიწისპირა კონცენტრაციების მნიშვნელობის შედეგები უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (380 მეტრი) მოცემულია ქვემოთ:

ნაჯერი ნახშირწყალბადები C₁ – C₅ - მაქსიმალური მიწისპირა კონცენტრაცია უახლოეს დასახლებულ პუნქტთან ტოლია 0.10 ზდკ-ს;

ნაჯერი ნახშირწყალბადები $C_5 - C_{10}$ - მაქსიმალური მიწისპირა კონცენტრაცია უახლოეს დასახლებულ პუნქტთან ტოლია 0.04 ზდკ-ს;

ნაჯერი ნახშირწყალბადები $C_{12} - C_{19}$ - მაქსიმალური მიწისპირა კონცენტრაცია უახლოეს დასახლებულ პუნქტთან ტოლია 0.17 ზდკ-ს;

გოგირდწყალბადი - მაქსიმალური მიწისპირა კონცენტრაცია უახლოეს დასახლებულ პუნქტთან ტოლია 0.05 ზდკ-ს;

ამილენი - მაქსიმალური მიწისპირა კონცენტრაცია უახლოეს დასახლებულ პუნქტთან ტოლია 0.11 ზდკ-ს;

ბენზოლი - მაქსიმალური მიწისპირა კონცენტრაცია უახლოეს დასახლებულ პუნქტთან ტოლია 0.09 ზდკ-ს;

ქსილოლი - მაქსიმალური მიწისპირა კონცენტრაცია უახლოეს დასახლებულ პუნქტთან ტოლია 0.05 ზდკ-ს;

ტოლუოლი - მაქსიმალური მიწისპირა კონცენტრაცია უახლოეს დასახლებულ პუნქტთან ტოლია 0.16 ზდკ-ს;

ეთილბენზოლი - მაქსიმალური მიწისპირა კონცენტრაცია უახლოეს დასახლებულ პუნქტთან ტოლია 0.17 ზდკ-ს;

საწარმოში ექსპლუატაციის ცვლილების შემდეგ (ერთი ნავთობდამჭერის მაგივრად ორი ცალი ნავთობდამჭერია დამონტაჟებული) ზეგავლენა ატმოსფერულ ჰაერზე შეიცვლება უმნიშვნელოდ, კერძოდ გაფრქვევის წყაროებს დაემატება მეორე ნავთობდამჭერიდან გაფრქვეული ნახშირწყალბადები.

7.2 ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება

საწარმოს მუშაობის პროცესს თან სდევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები (სამსხვრევი, ცხაური, ტრანსპორტიორები და სხვ.).

საწარმოში დამონტაჟებული დანადგარები (ნავთობპროდუქტების გადასაქაჩი დანადგარები), რომლებიც წარმოადგენენ ხმაურის წყაროს, თითოეული მათგანისათვის არ აღემატება 75 დეციბელს. მაშინ ხმაურის ჯამური დონე კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით იქნება:

$$L_j = 75 + 10 \lg n = 78 \text{ დბ.}$$

საწარმოს ტერიტორიიდან r - მანძილისათვის ბგერითი სიმძლავრის დონეების სიდიდეები ხმაურის დამცავი საშუალებების გარეშე მოცემულია. ცხრილ 7.1-ში .

ბგერითი სიმძლავრის დონეები

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირე, ჰც	ბგერითი წნევის დონეები დეციალებში, საწარმოდან r მანძილზე (მ)								
	100	200	300	380	400	500	600	700	800
63	30.00	23.98	20.46	18.40	17.96	16.02	14.44	13.10	11.94
125	29.93	23.84	20.25	18.14	17.68	15.67	14.02	12.61	11.38
250	29.85	23.68	20.01	17.83	17.36	15.27	13.54	12.05	10.74
500	29.70	23.38	19.56	17.26	16.76	14.52	12.64	11.00	9.54
1000	29.40	22.78	18.66	16.12	15.56	13.02	10.84	8.90	7.14
2000	28.80	21.58	16.86	13.84	13.16	10.02	7.24	4.70	2.34
4000	27.60	19.18	13.26	9.28	8.36	4.02	0.04	-3.70	-7.26
8000	25.20	14.38	6.06	0.16	-1.24	-7.98	-9.56	0.00	0.00

გარდა ამისა ბგერის გავრცელების სიჩქარე დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურასა და ქარის სიჩქარეზე, ხოლო ბგერის ჩახშობა განისაზღვრება ადგილის რელიეფით და ჰაერის ტენიანობით. ყოველივე აღნიშნული გათვალისწინებული იქნება აკუსტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავების დროს.

როგორც ცხრილი 6.1-დან ჩანს, ხმაურის დონე საწარმოდან 100 მეტრში ნორმაზე ნაკლებია. საწარმოს განთავსების ადგილისა და მისგან მოსახლეობის დაშორების გათვალისწინებით ხმაურის უარყოფითი გავლენა მინიმუმამდეა შემცირებული.

საწარმოში დამატებით ერთი ცალი ნავთობდამჭერი დანადგარის არსებობა ხმაურის დონეზე ცვლილებას არ გამოიწვევს, რადგან ის არ წარმოადგენს ხმაურის წყაროს.

7.3 ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე

ტერმინალის მიმდინარე საქმიანობის პროცესში ნიადაგის და გრუნტის დაბინძურების მიზეზი შეიძლება გახდეს:

- საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის წესების დარღვევა;
- ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრა;
- მოძველებული და ამორტიზებული საწარმოო-სანიაღვრე კანალიზაციის სისტემების ექსპლუატაცია;
- საკანალიზაციო სისტემებზე და ნავთობდამჭერებზე შესაძლო ავარიული სიტუაციები.

ნიადაგის და გრუნტების დაბინძურების რისკების შემცირების მიზნით, ნავთობბაზის ადმინისტრაცია ვალდებულია პერიოდულად აწარმოოს საჭიროებისამებრ საწარმოო-სანიაღვრე კანალიზაციის მოდერნიზაცია მათი დაზიანების შემთხვევაში.

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი, მავნე ნივთიერებების ემისიების გავლენას საწარმოს განლაგების ზონის ნიადაგურ საფარზე პრაქტიკულად ადგილი არ აქვს. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების ყველა ციკლის ფუნქციონირება-რეალიზაცია, არ წარმოქმნის ნიადაგის დაბინძურების

შესაძლებლობას და შესაბამისად წინაპირობა ნიადაგური ზედაპირის დაბინძურების წარმოქმნის მიმართულებით ალბათობა ძალიან მცირეა.

ნავთობპროდუქტებით დაბინძურების შემთხვევაში, მათი გაწმენდის და მართვის ტექნოლოგიები ეცნობება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. კერძოდ მცირე ავარიების (დაღვრის შემთხვევაში) საწარმო გეგმავს შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციასთან კონკრეტული ხელშეკრულების დადებას აღნიშნული ნიადაგის რეკულტივაციაზე დაბინძურებული ნიადაგის პირდაპირ გატანით და შემდგომ უტილზაციაზე, ხოლო დიდი დაღვრების შემთხვევაში, ერთ-ერთ ვარიანტად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს რემედიაციის მეთოდი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოო ტერიტორიის ის ნაწილები (სარეზერვუარო პარკები, ნავთობპროდუქტების მიღებისა და გაცემის ტუმბოები, ავტოცისტერნებში გაცემის სადგურები), სადაც შესაძლებელია ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრა, შემოსაზღვრული ტერიტორიებია, საიდანაც ვერ მოხდება ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტების გარე პერიმეტრზე მოხვედრა, ამდენად ნიადაგის დაბინძურების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს. ასევე ამ ტერიტორიებიდან წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები, რომელიც შესაძლებელია იყოს დაბინძურებული ნავთობპროდუქტებით, იკრიბება, გაივლის ნავთობდამჭერებს, და შესაბამის დონემდე გაწმენდის შემდეგ ჩაედინება სანიაღვრე არხში.

აღნიშნულ ტერიტორია არ წარმოადგენს ისტორიულად დაბინძურებულ ტერიტორიას, ხოლო რაც შეეხება ნავთობბაზის ოპერირებისას ნავთობპროდუქტებით შემოსაზღვრული ტერიტორიების გარე პერიმეტრზე ნიადაგის დაბინძურებისას, მცირე დაღვრის შემთხვევაში მოიხსნება აღნიშნული ფენა და ხელშეკრულების საფუძველზე შესაძლებელია დაიწვას ინსინირატორში, ხოლო დიდი დაღვრის შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს იქნას in situ და ex situ ტექნოლოგიები.

7.4 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე

საწარმოს განკუთვნილი ტერიტორიიდან ყველაზე ახლოს 4300 მეტრში მდებარეობს კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორია.

კოლხეთის ეროვნული პარკი შეიქმნა 1999 წელს, იგი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში. მოიცავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ნაბადისა და ჭურის უბნის მიმდებარე აკვატორიის ნაწილს და პალიასტომის ტბის აუზს. პარკი კოლხეთის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ეკოსისტემების დაცვისა და შენარჩუნების მიზნითაა შექმნილი. იგი გამოირჩევა ველური ფლორისა და ფაუნის მაღალი ბიომრავალფეროვნებით, ენდემური და რელიქტური სახეობების სიუხვით. აქ წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის ლანდშაფტები, ცალკეული ეკოსისტემები და ცენოზები.

მისი საერთო ფართობია 44308,5 ჰა-ია, რომლიდანაც ზღვის აკვატორია 15276 ჰა-ს შეადგენს.

ეროვნული პარკი 5 ადმინისტრაციული რაიონის - ზუგდიდის, ხობის, სენაკის, აბაშისა და ლანჩხუთის ტერიტორიაზეა განლაგებული და საქართველოს ორი ისტორიული მხარის - სამეგრელოსა და გურის ნაწილია.

კოლხეთის ეროვნული პარკი მიეკუთვნება დაცული ტერიტორიების IUCN მეორე კატეგორიას. 1997 წლიდან მას იცავს რამსარის კონვენცია, რომელიც წარმოადგენს მთავრობათაშორის შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს მიგრირებად, მიმომფრენ და წყალმცურავ ფრინველთა საბინადროდ ვარგისი არეალების დაცვას.

კოლხეთის ეროვნულ პარკში სტუმრობა მთელი წლის მანძილზე რეკომენდებულია. მდინერეების, ჭურისა და ფიჩორის ხეობაში, ასევე, პალიასტომისა და ოქროს ტბაზე შესაძლებელია დაგეგმოთ ნაგებით, კატერით, პანტონით და კაიაკით გასეირნება, შემდგომ კი კოლხური ტყისა და უნიკალური ჭაობების მონახულებას შეძლებთ. კოლხეთის ეროვნულ პარკში 100-ზე მეტ სხვადასხვა სახეობის გადამფრენ ფრინველზე დაკვირვებისთვის, სათვალთვალო კომპლექსები მოწყობილი.

პარკში განსაკუთრებით საინტერესოა პალიასტომის ტბა, შავი ზღვის აკვატორია, უნიკალური ჭაობები და კოლხური ტყე. კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ვიზიტორებს პალიასტომის ტბასა და მდ. ფიჩორის ხეობაში სანაოსნო ტურებს, ასევე სპორტულ თევზჭერას, ფრინველებზე დაკვირვებას (ბერდვოჩინგს) და ეკო-საგანმანათლებლო ტურებს სთავაზობს.

საწარმოს სფეციფიკიდან და სიმძლავრეებიდან გამომდინარე შემოთავაზებული მდებარეობა არ ახდენს უარყოფით გავლენას დაცულ ტერიტორიებზე.

